საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა აცხადებს ტენდერს ლოგისტიკური მომსახურების მოწოდებაზე.

პროექტ „**ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოს დაცვითი მდგომარეობისთვის „ (ZEWSGES)** ფარგლებში, საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა იწვევს კერძო და იურიდიულ პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ლოგისტიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით.

შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

1. პროექტის გუნდის სატრანსპორტო მომსახურება (მგზავრობა თბილისი - გურიის რეგიონი - თბილისი) არაუმეტეს 10 გასვლისა.
2. პროექტის გუნდის განთავსება სასტუმროში და კვება (3 ერთადგილიანი ნომერი) არაუმეტეს 10 დღე
3. უზრუნველყოს ველზე ჩასატარებელი სამუშაოებისათვის საჭირო ინვენტარის მიწოდება (ხელთათმანები,პირბადეები, ტომრები. არანაკლებ 50 ადამიანზე)

სავალდებულო მოთხოვნები:

ტენდერში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური შემოთავაზება თავისი სერვისების მითითებით.

თანხის გადახდის პირობები:

მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, კონკრეტული მომსახურების გაწევის შესახებ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ (ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი) არაუგვიანეს 10 დღისა.

მომსახურების გაწევის ვადები: დეკემბერი 2019 - აგვისტო 2020

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოაგზავნოთ შესაბამისი დოკუმენტაცია შემდეგ ელ-ფოსტაზე: office@civitas.ge და გთხოვთ, სათაურში მიუთითოთ „ლოგისტიკური მომსახურება".

სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადაა: **2019 წლის 19 დეკემბერი, 14:00 საათი**.

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა დაუკავშირდება მხოლოდ იმ კომპანიებს რომლებიც აკმაყოფილებენ სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მომსახურების გაწევის ფასი არის კონფიდენციალური.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://www.civitas.ge